ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების ზეპირი გამოცდის ფორმა და შეფასების სისტემა:

შინაარსობრივი მხარე

სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ზეპირი გამოცდა უნდა იყოს სტრუქტურირებული ისე, რომ კანდიდატმა შეძლოს გამოავლინოს არჩეული სფეროს ცოდნა, აკადემიური მიღწევები (იგულისხმება მონაწილეობა კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, საზაფხულო სკოლებში, პუბლიკაციები და ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც წარმოაჩენს კანდიდატის აკადემიურ მიღწევებს) მოტივაცია და კომუნიკაციის უნარი.

სამაგისტრო მიღების გამოცხადების შემდეგ, აპლიკანტმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს 2 რეკომენდატორი (საკონტაქტო ინფორმაცია), CV და სამოტივაციო წერილი.

საზეპირი გამოცდისას კანდიდატის აკადემიური მონაცემების დადგენის მიზნით უნდა დაისვას კითხვები, რომლებიც გამოამჟღავნებს კანდიდატის აკადემიური მომზადების დონეს და გამოავლენს მის ლოგიკურად და კრიტიკულად აზროვნების უნარს.

კანდიდატის აკადემიური განვითარებისთვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით, ზეპირი გამოცდისას, სასურველია გამოვლინდეს, რის მიღწევას გეგმავს კანდიდატი აკადემიური და პროფესიული თვალსაზრისით და რა არის პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია. ასევე, სასურველია, კანდიტატმა ისაუბროს იმაზე, თუ რას მოელის პროგრამისაგან (ცოდნა, გამოცდილება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ა.შ.).

შეფასების სისტემა

კანდიდატი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დააგროვებს 51 ქულაზე, ანუ დადებით შეფასებაზე ნაკლებ ქულას, ის გამოირიცხება კანდიდატთა სიიდან.

ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		20
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		20
ჯამი		**40**

მოტივაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**

მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		5
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნებისა და პროგრამის მიზნების თანხვედრა		5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		5
ჯამი		**20**

აკადემიური მოღწევები	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.)		10
აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		10
ჯამი		**20**
კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
დასმულ კითხვებზე რელევანტური პასუხების გაცემის უნარი		10
განსახილველ დარგობრივ საკითხზე/საკითხებზე დისკუსიის გამართვის უნარი		5
განსახილველი დარგობრივი საკითხის კომპლექსური ანალიზისი უნარი		5
ჯამი		**20**